სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

61111859212023

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

**N230893545**

რეგისტრაციის თარიღი

05.07.2023 წ


ნოტარიუსი: ნინო გელაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #2, სართული #2

ტელეფონი: 591701134



სანოტარო მოქმედების და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე +995(32) 2 66 19 18

# სანოტარო აქტი
## საქართველო

ორი ათას ოცდასამი წლის ხუთი ივლისს მე ნოტარიუსს ნინო გელაშვილს ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი #2 სართული #2-ში, მომმართა შპს ანა-ს (რეგისტრირებული: 29/03/2011წელს, საიდენტიფიკაციო #406045783, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ბ. ხმელნიცკის ქ., №163, ბინა №43) დირექტორმა თორნიკე შოთაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს შეადგინოს რწმუნებულება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად თორნიკე შოთაძემ (დაბ.28.05.1963წ. რეგისტრირებული: თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. N 163 ბ. 43, პირადი #01030006853) მომმართა. მე შევამოწმე თორნიკე შოთაძის უფლებამოსილება, იგი უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს ანა თანახმად ამონაწერისა სამეწარმეო რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B13080792, 15/08/2013 10:30:02 რომელიც ღიაა საჯარო მდგომარეობით ჩემს მიერ გადამოწმებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს http://public.reestri.gov.ge საიტზე. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ მე შევადგინე წინამდებარე რწმუნებულების პროექტი, რომელიც წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. „რწმუნებულს' უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს რწმუნებულება. მან წაიკითხა ეს რწმუნებულება და განაცხადა რომ იგი სრულად შეესაბამება მის ნებას. მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ „რწმუნებულას".

## რწმუნებულება

ორი ათას ოცდასამი წლის ხუთი ივლისი. შპს ანა-ს (რეგისტრირებული: 29/03/2011წელს, საიდენტიფიკაციო #406045783, იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ბ. ხმელნიცკის ქ., №163, ბინა №43) დირექტორმა თორნიკე შოთაძემ (დაბ.28.05.1963წ. რეგისტრირებული: თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. N 163 ბ. 43, პირადი #01030006853), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც „მარწმუნებელი",სულხანი კაპანაძეს (დაბ.25.06.1988წ. რეგისტრირებული: თბილისი ს. დიღომი როსტევანის ქ. N 1 ბ. 88, პირადი #60001078021), რომელიც შემდგომში მოხსენიებულია, როგორც „რწმუნებული", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: რწმუნებული უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას ,,მარწმუნებლის" ინტერესები ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან მესამე პირებთან ურთიერთობებში, მათ შორის: სსიპ იუსტიციის სახლში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში, ნებისმიერ მუნიციპალიტეტსა და საკრებულოში, გამგეობაში, მერიაში, სსიპ არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, შინაგან საქმეთა სამინისტროში, შსს მომსახურების სააგენტოში, ჩააბაროს ან/და ხელზე მიიღოს ნებისმიერი სახის ცნობა, ინფორმაცია. დოკუმენტი, მოწმობა, გაასაჩივროს ნებისმიერი აქტი/დოკუმენტი, „რწმუნებული" ასევე უფლებამოსილია იყოს „მარწმუნებლის" წარმომადგენელი ყველა ინსტანციის სასამართლოში, საკონსტიტუციო სასამართლოში, საარბიტრაჟო სასამართლოში, სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში, საგამომძიებო ორგანოებში აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო, სისხლის და/ან საარბიტრაჟო, სააღსრულებლო, ადმინისტრაციულ საქმეს.

1. აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად ,,რწმუნებული" უფლებამოსილია ,,მარწმუნებლის" სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის: შეიტანოს/წარადგინოს განცხადება და/ან სარჩელი სასამართლოში, გადაიხადოს და დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მოითხოვოს მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხარის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და/ან საფუძველი, გაადიდოს, ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, სცნოს სარჩელი, გამოიხმოს სარჩელი, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სააპელაციო და

კასაციო საჩივარი, გაასაჩივროს კერძო არბიტრაჟის ნებისმიერი გადაწყვეტილება, საქმე დაამთავროს ორიგებით, ხელი მოაწეროს მორიგების აქტს, ხელი მოაწეროს მოქრიგების აქტს. მათ შორის ყველა იმ უფლებით რაც გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 93-ე მუხლის I და II პუნქტებით, მიიღოს და წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებლო ფურცელი, შეაჩეროს, აწარმოოს გამოსახლების საქმე, გამოითხოვოს სააღსრულებლო ფურცელი, იყოს წარმომადგენელი სახელმწიფო ხაზინაში, ნოტარიუსთან, გადაიხადოს ბაჟი, მიიღოს სასამართლოს მიერ დაბრუნებული სახელმწიფო ბაჟი (თანხა აიღოს ხელზე).

2. არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილება იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.

3. რწმუნებული ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

4. მარწმუნებელი ვალდებულია გადაიხადოს დავალების შესასრულებლად ყველა საჭირო ხარჯი.

5. დავალების შესასრულებლად მარწმუნებელი ვალდებულია რწმუნებულს გადაუხადოს გასამრჯელო, რომლის ოდენობა დგინდება მარწმუნებლის და რწმუნებულის ურთიერთშეთანხმებით.

6. რწმუნებული ვალდებულია დავალება შეასრულოს პირადად. იგი უფლებამოსილია დავალების შესრულებაში ჩართოს დამხმარე პირები.

7. <u>რწმუნებულება გაცემულია განსაზღვრული ვადით და ძალაშია ორი ათას ოცდაცამეტი წლის ხუთი ივლისის ჩათვლით.</u>

8. რწმუნებულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს ერთ-ერთი მხარის ინიციატივით მეორე მხარისათვის წინასწარი შეტყობინებით. თუ რწმუნებულება ხელშეკრულება მაშინ შეწყვიტა, როცა მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად დაეცვა მისი ინტერესები, რწმუნებული ვალდებულია მარწმუნებელს აუნაზღაუროს ზარალი, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რწმუნებულს ამისთვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონოდა.

9. წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია სამ (03) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნინო გელაშვილის სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მარწმუნებელს.დოკუმენტის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება სანოტარო არქივში, აქვს დანართი დოკუმენტი:

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B13080792, 15/08/2013 10:10:02; საიდენტიფიკაციო ნომერი: 406045783

10. წინამდებარე რწმუნებულება მარწმუნებელს წაუკითხა ნოტარიუსმა ნინო გელაშვილმა. მარწმუნებელმა მოიწონა რწმუნებულება და ნოტარიუსის თანდასწრებით მას პირადად მოაწერა ხელი.

„მარწმუნებელმა“ გადაიხადა ნოტარიუსის საზღაური: ოცდაათი **(30)** ლარი თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურეობის ვადების გამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების **(29 დეკემბერი, 2011 წ. #507) 31-ე** მუხლისა, აგრეთვე ხუთი **(05)** ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის **(29 დეკემბერი, 2011 წ. #507)** დადგენილების **39-ე** მუხლის **I** პუნქტისა, ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციისათვის და საგადასახადო კოდექსის **166-ე** მუხლის საფუძველზე დ.ღ.გ. – ხუთი **(05)** ლარი და ორმოცი **(40)** თეთრი, ჯამში: ორმოცი **(40)** ლარი და ორმოცი **(40)** თეთრი.

მარწმუნებელი: ---

ნოტარიუსი: ---------- / ნინო გელაშვილი /